

ქ.თბილისი

2017 წლის 29 აპრილი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2017 წლის 29 აპრილს ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 8 წევრიდან 6 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, ლაშა თავართქილაძე, სულხან სულხანიშვილი, ირაკლი ჩიქავა, ვახტანგ სამხარაძე, კაკო კერესელიძე.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარის ნ. მამრიკიშვილის მომართვა და მატჩის მეთვალყურის ტ. მარგველაშვილის ოქმი, ამა წლის 18 აპრილს, ჭაბუკთა „ა“ ლიგის კალენდარულ მატჩზე ქობულეთის „პონტო“-ს წინააღმდეგ, თბ „არმაზი“-ს არგამოცხადების შესახებ

#### გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

თბ „არმაზი“ ა/წლის 18 აპრილს არ გამოცხადდა სათამაშოდ ქობულეთის „პონტო“-ს წინააღმდეგ.

სრკ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.1.11, სრკ სადისციპლინო კოდექსის დანართი N 1-ის 1.11 პუნქტებით და ერთხმად მიიღო შემდეგი

#### გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. კლუბი თბ „არმაზს“ ჩაეთვალოს წაგება, დააკლდეს ერთი საცხრილო ქულა და დაჯარიმდეს 500 (ხუთასი) ლარით., ხოლო მოწინააღმდეგუნდს ჩაეთვალოს ბონუსქულიანი მოგება და ანგარიში დაფიქსირდეს 30:0.
2. კლუბის მიერ ფულადი ჯარიმის 7 კალენდარული დღის ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში ამოქმედდება სადისციპლინო კოდექსის დანართი №1-ის 1.11 პუნქტი და კლუბი თბ „არმაზს“, ჭაბუკთა „ა“ ლიგაში დააკლდება 5 (ხუთი) საცხრილო ქულა.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/